

დედა ენა

ანუ

ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი
სახალხო უკოლუბისათვის

შედგენილი ი. ზოგებაშვილისაგან..



გამოცემა პირველი. სურათებიც

ფასი ექვსი შაური.

თბილისი

მელიქიშვილის და კაპა. სტამბაში.

1876



ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
პარლანბანი ფურცელი
ჩვენს ყრბობაში ჩართული
დედის ძუძუ მეორე,
სიყვარული პირველი.

ჩვენს აკვანს უმომჯადარი
მგალობელი ფრინველი.
იანანის ნიაჭში
ჩვენს ყურთან რომ გაისმა,
ჩრბობა რომ გვისურნელა,
როგორც ბაღი გაისმა
ტკბილად რომ გავგვისარა

ჩვენ გავზვობა ბეჩავი —
შავი კაბით გაზრდილებს,
გავუნებულ ლეჩაქით
ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიყვარად
გულში ამოსლართული

ქალაქი

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

სიყვარული

18-19



ქართველი
წიგნითყობის
კავშირები

დღეს ზვიმობს საქართველო
„დედა ენის“ ასი წლისთავს!
ეს მზეწიგნი — ღვთაებრივი —
ასი წლის წინ აციმციმდა!

„დედა ენა“ — ერის სული,
ერის გული, ერის თვალი —
„ქება და დიდებაა
ქართულისა ენისა“!

საქართველო სავსე არის,
„დედა ენა“ ყველგან გაჰქუხს!
გაუმარჯოს „დედა ენას“!
გაუმარჯოს ენას ქართულს!

ორი განსხვავება

როგორც თქვენი ახალი ამბებიდან ჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწადინია გამიმართოს საიუბილეო სადღიო. დიდ მადლობას მოგახსენებთ და გთხოვთ დიდი თხოვნით, ხელი აიღოთ ამ თავის საწადელზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადღიო უჩემოდ ჩაივლის. ჯერ ქართველმა საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე შესახებ ჩვენის მთავარ მოღვაწეებისა, რომლებმაც ჩემზე უფრო დიდხანს უმოქმედნიათ და ჩემზე უზომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იაღბუზებსა და მყინვარს ღირსეული იუბილეები გაუმართონ და მერე გაუწიონ თავაზიანობა სერებსაც, თუ არ დაუშლიათ.

იაკობ გოგებაშვილი
1900 წ.

როგორც გავიგე, ჩემს განცხადებაზე (ჩემი იუბილეს შესახებ) მოუწადინებიათ, უარი მითხრან. მოგახსენებთ და გაფრთხილებთ, რომ ნუ ჩააგდებენ ჩემს სიციოცხლეს საფრთხეში. ქართველ საზოგადოებას, ალბათ, ახსოვს, რომ ჩემი ორმოცდაათი წლის იუბილეს უარისათვის მქონდა მცდელობა მეოთხე სართულის ფანჯრიდან გადმოხტომისა (ვცხოვრობ მესამე სართულზე), მაგრამ თუ ამჯერადაც უარს მეტყვიან, მექნება მცდელობა შეექვსე სართულიდან გადმოხტომისა. რაც მიმოქმედნია და გამიკეთებია. ამის შესახებ მრავლად არის სათქვამი სხვადასხვა არხა-წერილებში, რომლებიც მხოლოდ ჩემი ხელით არის დაწერილი აგრეთვე.

თავსხედო განდიდებავილი
1976 წ.

რით აშინებს საზოგადოებას თ. გ.?
როგორ ფიქრობთ, მართლა გადმოხტება თ. გ. ფანჯრიდან?
რადგან თ. გ.-ს ასეთი ხტომები-საკენ აქვს მიდრეკილება, მძლეონობაში ხომ არ ეცადა ბედი?
რას დაჰკარგავს ქართველი საზოგადოება თ-გ-ს დაკარგვით?
რა დასკვნებს გამოიტანთ ამ ორი განცხადებიდან?

ს ი

გალაკტიონი

ქ ი მ ნ ი ქართულ ანბანს

ქენ, რომელიც მარად მსხვერპლ გვინათ, არა გუშინ გახსნდი თვალის ჩინად, არამედ მხით ამოენთე ბრწყინვად — ოცდაექვსი საუკუნის წინად...

იმდროიდან დაწეებული დღემდე — როცა გაოცნდა, მხით ანთებულ შემდეგ, სერსე აველ, მოაწმინდასე შევდგე, ოცდაექვსი საუკუნის შემდეგ.

ქენ სიძველის გამოსავს ხელი სავსი, ქვასე ჭრილი სარ ხუქურთმის მსგავსი — დიდის გხნებით ასე იუავ სავსე ოცდაექვსი საუკუნის წინად...

ცხრასსუთი. ოქტომბერი. ომი. ჩემს ასლას სდგას კაცთ ასალი ტომი. სელთ უზურია ლექსთა ჩვენთა ტომი — ოცდაექვსი საუკუნის შემდეგ.

მარადისი სიასლე გაქვს ორბის, სვეულეები გრესილების ორფის, გამკენებდა ასლის წინამორბედს ოცდაექვსი საუკუნის წინად...

სევიანის და როდესმე ობლის გულმსურვალე, როგორც ზრუნვა მძობლის, სარ აღმდგენი ქალაქის და სოფლის ოცდაექვსი საუკუნის შემდეგ.

შენით მღერდა მომღერალი ვეფხვის, უდარებლად მცოდნე ლექსის სერისის. ეს მრიალი იყო მრავალ ვერსვის, ოცდაექვსი საუკუნის წინად...

ქენ სიმები მოგაქვს ჩემი ქნარის, ქენ მეჰსარი თავისუფალ მსარეს, მრომას ერთგულს, თავდადებულს, ცხარეს ოცდაექვსი საუკუნის შემდეგ.

ქალიშვილი შენით მღერდა ჩონგურს, ქენ ჯერ უძლეულს მამინ ჰგავდი კოკორს. აწ სულ სხვა სარ, არ იმგვარი, როგორც ოცდაექვსი საუკუნის წინად...

კვლავ გვინათე, როგორც ესლა გვინათ, რა იყო და რაა ასალ ბრწყინვად. — ოცდაექვსი საუკუნის წინად, ოცდაექვსი საუკუნის შემდეგ.

ბ ზ



იაკობ გოგებაშვილი: მამაშვილთან, იქნება, ერთი „დედა ენა“ მიშორეთ!

ხელთ „დედა ენა“ მიჭირავს ხელიხელსაგომანები და, დიღო გოგებაშვილო, შევეყურებ აღფრთოვანებით მეთასევერ ვკითხულობ ერის სალოცავ უკვდავ წიგნს — იად ამოსულს ქართველი ხალხის სულსა და სუნთქვაში, — სავსეს მწერლური სიბრძნით და მარგალიტებით რაღნურით, მარად ქართული სილადით, ჰუმორით მარადქართულით! დაუღალავად იღვწოდი დიდი ქართველი ერისთვის და მიდიოდი უვალი, ეკლიანი და ძნელი გზით! დიადი „დედა ენითა“ ერს გაუხსენი სივრცენი და საქართველო ეროვნულ სიკვდილისაგან იხსენი! შენ შეადგინე წიგნები — წარუვალობით მსუნთქავი — უკვდავი „რუსკოე სლოვო“, „ბუნების კარი“ უკვდავი! როს ქართულ ენას ელოდა გადაგვარება, მოსპობა, შენ „დედა ენა“ დაანთე სამშობლოს მშველელ კოცონად! დღეს სახელმწიფო ენა — ქართული — ქართველ ერისა და სკოლა ჩვენი, პირველი მცველია ამა ენისა! „ქრულია მისი სახელი. ვინც დაგმობს დედა ენასა!“ — აკვანში სასწავლ ამ სიტყვებს ჩასჩიჩინებდი ყველასა! შენ ჩვენი დედაენისა და ჩვენი სკოლის ხატი ხარ, ამიტომ დაუფარავად გეტყვი მე იმთ სატიკვარს: ზოგი ქართველი (დედის რძე შეერგოს იმს არამად!) გადაგვარდა და არ იხმენს! რა ჰქმნას ამ იავნანამა? ზოგიერთათვის წესია ქართულის დამახინჯება რადგან იციან, ამისთვის კანონით არვინ იხვება! კულტურა მეტყველებისა და მეტყველების სიწმინდე ბევრ მასწავლებელს არა აქვს და არც გადაპკრავს სიწითლე! ატესტაცია ამა წელს (ვფიქრობდი, შენთვის ვით მეთქვა!) სულ გაიარა ცხრა ათას ოთხას ორმოცდაჩვიდმეტმა!.. ორი ათას პლუს ორასი, პლუს კიდევ ორმოცდასამი მასწავლებელი ჩაიჭრა!.. სირცხვილით როგორ ასწავლის?! აქედან ოცდაცამეტი დათხოვნილია სკოლიდან! ხომ სამწუხარო ფაქტია?! ტირილი ხომ არ მოგინდა?! ჩვენს დიდ ძვრებს ზოგიერთები ანგარიშს როდი უწევენ: მისდევენ პროტექციონიზმს, უვიცებს „ხუთებს“ უწერენ! სკოლა ჰგონია ზოგს თვისი სამფლობელო და სამეფო: მოსწავლეს კერძოდ ამზადებს, რეპეტიტორობს, მავნებლობს! მომთხოვნელობა, სიმკაცრე აკლია ზოგ-ზოგ პედაგოგს, ჭერ ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმი ვერ დაგმო! კიდევ: ზოგიერთ სკოლაში (ნეტავ, ვის, ან რას უცდიათ?) არ არის ნტიციე წესრიგი და დისციპლინაც სუსტია! ზოგიერთს სწორად არ ესმის ამოცანები აღზრდისა, არ ცდილობს ახლის ძიებას, ერთხელ დადგენილ შტამებს იცავს! ერთმა ხარისხიც დაიცვა ოპონენტებთან ბრძოლაში: „ნუცას სკოლა“ და პირველი კლასის ადგილი სკოლაში“. ბევრგან სკოლათა შენების საქმეს ვაჭანჯლებთ, არ ვჭარობთ. ხვალის იმედით ვმცონარობთ, ვითხოვთ — გვადროვონ, გვაცალონ! მოსახს და სკოლას არა აქვთ მჭიდრო ურთიერთკავშირი!.. სხვა სატიკვარიც გვაწუხებს, გვჭირს კიდევ ბევრი სხვა ჭირიც. გენიალური იაკობ, მომავლის დიღო გადავ, ზოგიერთები უშრომლად დღეს ფონს იოლად გადიან!.. გადავეჩვიოთ ქართველურ სიზარმაცესო! — ამბობდი!.. ვწუხვართ და ვდარდობთ იმაზე, რაზედაც წუხდი, დარდობდი! ქართველის ბუნებისათვის ყველაფერ არაბუნებრივს უსასტიკესი სატირით სპობდი და ანადგურებდი! ჩვენს მავნე ტრადიციებს და დრომოჭმულ წეს-ჩვეულებებს მთელი სიცოცხლე ებრძოდი დაუნდობლად და უღმობლად! ზარმაცს, ეგოისტს, მომხვეჭელს, წამგლეჯს, ხარბსა და შურთანს მუქთანხორას და უქნარას, — ვინც ახლაც ჩვენი წულუღაა. — „დედა ენაში“ ჰკიცხავდი, ამოთრწხებდი, ძრანავდი ლექსით, მოთხრობით, ანდაზით, იგავ-არაკით, ნახატით!.. „ნიანგა“ ისევ ნიანგობს, ფარ-ხვალის დაურას არ ფიქრობს და ებრძვის ჩვენი ცხოვრების ყველა ნაკლსა და ანტიბოდს! რაც რესპუბლიკის ღირსებას დღესაც აჩნია შავ ლაქად, ჩამოვრცხვთ! თანდათანობით ყველა მავნებელს ავლაგმავთ!

უდიდეს განმანათლებელს, მწერალს, პედაგოგს, მოღვაწეს — გუავდა მრავალი მოშურნე, მტერი, მოძულე, მოღვაძრძლე!.. ბიბლიურ იაკობივით ერკინებოდი ქართველის მტრებს და ამიტომაც ანთიხარ ერის წმინდანად, ნატვრისხედ! გადაღმერთილმა აკაკიმ, ვინც შენი ფასი იცოდა, მოზარდი ახალთაობის საერთო მამა გიწოდა! ბურჯი ხარ ეროვნებისა, წაუქციველი მარად ჟამს, სამარადისოდ დამდგარი ქართული ენის დარაჯად! აღმერთებს ყველა ქართველი შენს „დედა ენას“ — სხვის ზეცის — დედაწიგნსა და ძუძუწიგნს. აკვანწიგნსა და ქრისტეწიგნს! მოგმართავ ვაჟს სიტყვებით, მზესავით მანათობელით: „აკაც ხარ ქვეუნი ბადალი, დედა გიცხონდა მშობელი!“

პატივის მსხვერპლი

მან ერთხელ, საბავშვო ბაღში ყოფნისას, ხბოს უთო გადაყლაპა. აპატიეს, ბალოლობით მოუვიდაო. ერთხელ კატას ცეცხლი წაუკიდა და ოთხი მეზობლის სახედი გადაწვა. აპატიეს, ბავშვია, ჭკუას იშოვისო. ერთხელ ანატომიის მასწავლებელს ფანჯრიდან მწვანედ შედე-ბილი თავის ქალა შეუგდო და ჭკუიდან შეშალა. აპატიეს, ყმაწვილია, ხუმრობა ვერ მოზომაო. ერთხელ სახელმწიფო ტრაქტორს მამამისის „ემდინი“ დააჯახა. აპატიეს, ახალგაზრდაა, სისხლი უდუღლსო. ერთხელ თავის წიგნში ოთხას გვერდზე ამტკიცა, ადამიანი შაშვი არ არისო. აპატიეს, ახალგაზრდა მეცნიერს გაქანებას ნუ ჩაუფხობთო. იგი ახლა პროფესორია და ავტობუსის გაჩერებებთან ბელურებს ითვლის. შეკყურებენ და ამბობენ: რა ვუყოთ, მოხუცდა, ბავშვი ხომ აღარ არის, მაგის ასაკში სხვა უარესს იზამსო!

რეზა მისხველი

ნახ. ზ. ფორცხიძისა




Изданіе Общества Распротр. Грамотности.

ЯКОВЪ ГОГЕБАШВИЛІ.

РУССКОЕ СЛОВО

ИЛИ
Учебное руководство къ русскому языку
ДЛЯ ГРУЗИНСКИХЪ ШКОЛЬ.

ЧАСТЬ ПЕРВАЯ.
ПОДГОТОВИТЕЛЬНЫЯ СТУПЕНИ.



229-ая тысяча.

Цена съ переплетомъ 40 коп.

ИЗДАНИЕ ДВАДЦАТЬВТОРОЕ.

Въ предыдущихъ изданіяхъ эта книга была одобрена въ качествѣ учебнаго руководства Попечительскимъ Совѣтомъ Кавказскаго Учебнаго Округа на правахъ Ученаго Комитета Министерства Народнаго Просвѣщенія и Святѣйшимъ Синодомъ.

ТИ Ф Л И С Ъ.
Электротеч. А. М. Кереселидзе, Габ. пер. № 1.
1913.

რათა ტაატით არ იაროს საქართველოს ეროვნების ეტლმა, ან არ გაჩერდეს ერთს ადგილას, საჭიროა მასში შევავაზოთ ძირში ქართული ენა და ყვევრად მოვუბათ რუსული ენა... მაშინ, და მხოლოდ მაშინ, ეტლი ჩვენის ეროვნებისა ჭეროვანი სისწრაფით ივლის ცხოვრების გზაზე და მიადწევს სამშვიდობო სადგურსა.

იაკობ გოგებაშვილი

დაეუფლე რუსულ ენას!

შენ ქართული კარგად იცი, გაქვს ნიჭი და ალღო. მაგრამ რუსულ ენაში კი ჩამორჩები, ბაღლო!

თუ ეხლავე არ ისწავლი — გეტყვი, დამიჯერე — გაიზრდები, შეწუხდები, დაინანებ მერე.

ამიტომაც მენდე მგოსანს: სხვა ენებზე უფრო რუსულ ენას, რუსულ ენას უნდა დაეუფლო!

რუსულ ენას სულ სხვა შნი აქვს, სულ სხვა სიკისკასე, — ბუნებრივი სიღოვლათე სილამაზით სავსე.

სიამაყის ფუძე ჰკვებავს, ვერ გაატანს ტყვიას. ეს მიტომ, რომ რუსულ ენას ძმობის ენა ჰქვია.

ვთქვათ: გინდა, რომ ინახულო სხვა ქვეყნები თვალით, მოგზაურებს შეეჯიბრო ცოდნით, ნიჭით, ძალით:

იქ ბევრ დუშმანს შეეყრები და ბევრ მეგობარსაც, — თუ რუსული ენა იცი, არ შერცხვები არსად!

პუშკინის ხმა! ლენინის ხმა! მთელ მსოფლიოს ჰქარგავს. სწავლას მოსდევს სიხარული! — დაიხსომე კარგად.

ამიტომაც, ახალგაზრდავ, სხვა ენებზე უფრო რუსულ ენას, რუსულ ენას უნდა დაეუფლო!

იოსებ ბრიჯაშვილი

ი. გოგებაშვილს

ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, რაცა მიქია: დედა-ენა მიჩნს სახელად, არ თავი გამიქიქია. იგი ფუძე ქართველისა, მაგარი, ვითა ჭჭიანა... დედა-ენითა წვრთნა ურმისა მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია. დედა-ენა პირველადვე

სიბრძნისა ქრთა დარგო, ტკბილი ტკბილად გასაგონი, ყრმათა წვრთნისთვის დიდი მარგი... მით ზრდას არვინ დამიწუნებს, თუ კაცია მართლა ვარგი... სიტყვა სრულად გულსა სწვდება — დედა-ენა მით არს კარგი.

ვირუზა (ილია ჰავთაძისა)

* * *

დღეს სადილად ვიყავით იაკობ გოგებაშვილთან. სადილზე იყვნენ: ილია ჰავთაძე, ანტ. ფურცელაძე, ვახტანგ თულაგვი, ნიკო ცხეველაძე, პეტრე უმიკაშვილი და მე.


სადილის წინ, სანამ მასპინძელი სადილის თადარიგისათვის სხვა ოთახებში დადიოდა, ილიამ ზალაში თვალი მოჰკრა ერთს წიგნს: «Ревматизм и подагра Паленштейнера».

— ვაი ჩვენი ბრალო! ახლა ამას წაიკითხავს იაკობი და ამ ავადმყოფობას გაიჩენს, — სიტყვა ილიამ.

* * *

გოგებაშვილი დიდხანს ჩემთან დადიოდა კლუბში. აკაკის შეენიშნა და უთქვამს: — რა ვქნა, იონასთან რომ დაიარება, ამ გოგებაშვილს ლენერლობა როდის მიუღიაო?

იონა მუშანაგია, „ივერია“



შვიდობით, იარაღო!

ნახ. მარინა ლომიძისა



— მამა! დედავ „დედა ენა“ მიყილა!
— მერე, ბიჭო, მე ვარ მამა?



ერთ სოფელში იყო ერთი ნაცარქექია, ყოვლად უღონო. არაფრის გაკეთება არ შეეძლო, მხოლოდ იჯდა კერასთან და ნაცარს ქექავდა. მობეზრდათ ძმებს მისი მუქთად რჩენა, მიღვნი-მოღვნი და დიდი ქალაქის სახლმმართველობაში ცეცხლფარეშად მოაწყვეს.

დადგა ზამთარი. აცივდა. რეასართულიანი სახლის ბინადარ დევებს შესცივდათ და საყვედურებით მიადგნენ ნაცარქექია-ცეცხლფარეშს.

საცეცხლფარეშო გამოკეტილი დაუხვდათ. იარეს, იარეს და დევების უბნის სახლმმართველობას მიადგნენ.

— სად არის ნაცარქექია? — იკითხეს დევებმა.

— ლომების უბნის სახლმმართველობაშიც არის გაფორმებული და იქ იკითხეთ!

ლომების უბნის სახლმმართველობაში კი უპასუხეს:

— ნაცარქექიას კითხულობთ? სპილოების ტრესტში ნახევარ შტატზეა გაფორმებული, იქ ნახავთ!

ბევრი იარეს დევებმა აქეთ-იქით, მაგრამ ვერსად ნახეს ნაცარქექია. ბოლოს გაბრაზდნენ და ზემდგომ ინსტანციებში იჩივეს: „...ახს. ნაცარქექია მოხსენით და დანიშნეთ სხვა, რომელიც გაათბობს ჩვენს ბინებს!..“

ზამთარი რომ ილეოდა, დევებმა პასუხი მაშინ მიიღეს:

„...ნაცარქექიას შემცვლელი კაცი არ გვყავს, ვერც მოვხსნით და ვერც სხვა სამუშაოზე გადავიყვანთ!“

დევებმა დაჰკრეს ფეხი და ცხრა მთას იქით, კოპერაციულ და საკუთარ ბინებში გადასახლდნენ.

ნაცარქექიამ თავისი ძმები სოფლიდან ჩამოიყვანა და დევების ბინებში დააბინავა.

ახლა ზის ნაცარქექია და თავისთვის ქექავს, ქექავს და ქექავს...

ანდაზა: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.

ავთანდილ ადგიუვილი

იმის მრავალი ფაქტი მოგვეპოვება, რომ ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი არ იცნობს თავის მოსწავლეს. მის სასწავლო-ოჯახურ პირობებს და მოსწავლე მაშინღა გრძნობს მასთან ხელმძღვანელის კონტაქტს, როცა რამეს დააშავეს.

გაზეთებიდან

ნახ. ა. კანდელაკისა



— დამალე, ბიჭო, სიბარბი, თქვენი სკოლის დირექტორი დაგინახავს!..

— დამინახავს, თორემ ერთგაჟად არ მიცნოს! თვითონ მაგან მომიპიდა!

„დედა ენას“ გეფიცებით!

მოკვარდებით ცოდნის ცელით, გადავითბავთ ფრიალსა, „დედა ენას“ გეფიცებით— იაკობის იასა!

ვეშურებით, ვეწაფებით სიტყვას საღს და რძიანსა, „დედა ენას“ შევციცინებთ— იაკობის იასა!

იმავე ნანით—იავნანით— გვინათებენ წუგდიაღსა, „დედა ენას“ ვეფერებით— იაკობის იასა!

ისიც უნდა გაუუქსილოთ ჩვენს საუკარელ ძიასა, დედაენას რაც აწუსებს, რაც აღონებს იასა:

ხოგი წიგნს წერს—ოვალ-ეელ-ჟური ეროად იწეებს ღრჭიალსა, ენა ენას არ ჩამოჰგავს, ია კიდევ—იასა!..

დიდს აუტესს (ჩვენ რას გვიზამს) უმაღ გულის ფრიალსა, დედაენა იღუშება, ფერი მისდის იასა!

დავალებას იძლევიან— ვაი, ამ შენს გიასა! საცდელ-სასინჯ-საკებენ-სასეს ექსპერიმენტაინსა!

ვეღარ გავწვდით იქით ფრანგულს, აქეთ—ცერსე ტრიალსა, რეპეტიტორს ჩვენი სკოლის მასრა-სათაფლიასა!

კვირასაც კი არ იძლიან სარის ელვა-წკრიალსა, ეკრანიდან გვიკითხავენ ცისფერ ნოტაციასა.

დენეშით სომ გიდენეშით, წერილს გვსაენით ღიასა— ნუ შეაკრობთ, ნადრევად ნუ შეასმობთ იასა!..

ვაქართველებო საქართველოს, გამზიანებო მზიანსა, „დედა ენას“ გეფიცებით— იაკობის იასა!

ყრმათა სახელით

ზაზა კაციაუვილი

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!

ქართული
ლიტერატურა

მოსწავლთა ზამთრის არდადეგებზე ბაკურიანის პიონერთა ბანაკში მოხვდი. იქ ვნახე ქართველი პიონერები, რომლებმაც სიტყვაც კი არ იცოდნენ ქართული.

ეს ჩემი ლექსი, ბავშვებო, არც შემოდგომას ეხება, არც სურათია ზამთრისა, არც გაზაფხულის შექება.

ეს ლექსი გახლავთ აუცი — მე გამოვიდვიარ ძაგებით იმ თქვენი თანატოლების, იმ თქვენი ამხანაგების, —

საუბედუროდ, რომელნიც ისე აღზრდილნი არიან, ქართულად ხმას ვერ იღებენ, რუსულად — გაგიხარია!

რუსულის ცოდნა, იცოცხლე, სახარბიელო რამ არი,

მაგრამ ეს უნდა იცოდე — მშობლიურია მთავარი!

ენა არ გაწყენს არც ერთი, უნდა იცოდე რამდენიც; ოღონდ არ უნდა დაჰკარგო ქართული სიტყვის ნათელი!

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს, ვინც ვერ ახერხებს ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს!

ვინც არ იცის და არც უნდა იცოდეს ჩვენი წარსული; ვინც ვერც ხმას იღებს ქართულად, არც სხვისი ესმის ქართული.


განა იმისთვის იბრძოდნენ წარსულში მამა-პაპანი — დღეს შვილმა აღარ იცოდეს სისხლით დაცული ანბანი?!

თუკი წინაპარს შანთებით ვერ დაავიწყეს ქართული, თუ, დღესაც მღერის ქართველი ფერეიდანში ფანდურით, —

შენ აქ რა ღმერთი გაგიწყრა, ვინ იყო შენი გამზრდელი, შენი გულისთვის დამიწდა როცა ამდენი ქართველი?!

მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს, ვინც ვერ ახერხებს ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს!

ნახ. მარინა ლომიძისა



ღირებურობი: განსაკუთრებული ყურადღება მიექცევიტ ბანაკში ჩაცმულობას! მოგლებს აუხსენით, რომ ამ საქმეში თვითონ უნდა იმყოფდნენ მამალითს!

შეკითხვა იაკოვ გოგებაშვილს

„აი, ია“ თუ ისწავლა, „ორს მივუმატოთ ორი“, „უაჩაჩოსა სიწითლითა“, ამბავი ხარბი ქორის, სამს მივუმატოთ იქსი. თუკი გახდება ექვსი, მაშინ რას უღრის იქსი.

თუკი ეს კარგად იცის, „...ვნახოთ ვენახი“ — შეპირად, კინკვლის ამბავს თუ ვიამბობს, რად ეძახიან ზოგნი ნულს? — ბრძანეთ, ბატონო იაკოვ! ლალი მარტაშვილი

თასი
თა-სი
თ-ა-ს-ი
ნუთუ?!



თასის ფინალში ხუთჯერ დავითარსეთ. მეექვსედ და ვითასეთ და თასის უფლად ამოვისუნთქეთ. დღეს სახუკვარი თასი თბილისშია. თბილისი ათას ხუთასი წლისაა. ამ თასს ორმოცი წელი ველოდით. ეს ერთი და სხვა ათასი! თავით ყიფიანი, რომელსაც ნაკრების მწვრთნელებმა თავისი დიდი მონრეალური შესაძლებლობები არ გამოაყენებინეს, მოედანზე ამ გახსნილი კრილოებით გამოვიდა და ანგარიშიც გახსნა. მატჩის გმირი მანუჩარ მატჩაიძე იყო. ახალგაზრდა ახალკაცმა დინამოელებმა ახალკაცებად აქცია. ახლა ჩვენებს ბურთი ფეხებზე ჰკიდიათ, აწყობენ ათასგვარ კომბინაციებს, თავდასხმებს, იჩენენ კუთხურ კარჩაკეტელობას, ატყუებენ და ურტყამენ. აქვთ სახიფათო გარდევები და ბურთისადმი კერძომესაკუთრული ინტერესები. არიან ბურთის წამგლეჩები, გამომძალველები, მაყურებელთა მამებლები და მათი ტაშის მომხვეჭელები. არიან კარ იერისტებიც: გამუდმებით უტევენ მოწინააღმდეგის კარს. ერთი სიტყვით, თასს გავიდნენ და ევროპაშიც გავიდნენ. ახლა, საბჭოთა კავშირის თასის ამ მიმთვისებლებს, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზეც უჭირავთ თვალი. უნდათ, რომ წელს თასს ჩემპიონობაც შეუთასონ, გაისად კი გარდაამავალი თასი გარდაუვალად გაიხადონ.

მისამღერი:

ვით ერევნის „არარატი“, — ერთი სიტყვით, კარგი სიტყვით, — სამით ნულზე, სამით ნულზე დავმარცხეთ „კარდიფსიტი“.

მზეო, ამოდი!

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა,
თორემ სიცივით მოვკვდებით —
გათბობა არ აქვს სკოლასა!

* * *

იამა გზობა შობითა,
ვარდმა გაგზარდა ნებითა,
ნარგიშმა ეზო შევიმყო
მსუბუქი მანქანებითა.

* * *

ველზე ია ამოვიდა,
მიიხედა, მოიხედა,
„მწყურიაო!“ — კაცის შიშით
დაძახება ვერ გაბედა.


ველზე ია ცქრიალებდა,
კლდეზე წყარო ჩქრიალებდა,
რუსთაველზე ბრგე ვაჟკაცი
ის კონით წრიალებდა!..

მათხოვრულად გაწვილ ხელში
ხურდა ფული ჩხრიალებდა!..
მთა და ბარში გაზაფხულის
მადლი აღარ ტრიალებდა!..

* * *

სოკო, თოკი, კოკა, კაბა,
სკა, სკამი და კომში —
თავის ფასში იყიდება
გრაკალსა და რკონში!

გიორგი წყრეთელი



მკვანხარა ქოთანნი

ქოთანები ერთად შეგროვილიყვნენ. ერთი უფრო მაღალი ქოთანი შუაში ჩამდგარიყო და ჩურჩულით იკვებნიდა: მე თქვენისთანა როდი ვარ, მე ოქროს ძირი მაქვსო. უცებ თავს წააღდა ციცხვი და ხმამაღლა დაუმოწმა: დასტურ ბაჯალლო ფსკერი აქვსო. ქოთანი შეშინდა და ციცხვს სისინით შეუტია:

— ჩუმად, შე ოხერო! არ გაიგონ, თორემ პატრონს გაგვიუბედურებენ!



პრთბული პატარა ძალი

პატარა მაროს დედა ავად გაუხდა. ექიმმა ავადმყოფს მწარე წამალი მისცა დასალევად. დედამ ვერ დალია.

მარომ ეს შენიშნა და აღშფოთდა:
— რა არის, ბოლოს და ბოლოს, მეოცე საუკუნე იწურება და ფარმაცევტული მეცნიერება იქამდე ვერ მივიდა, რაიმე სურნელოვან-გემოიანი ეხენცია დაუმატოს წამალს, რომ აღმიანმა გემრიელად მიიღოს მიქსტურა?!

დაბარბული ბავშვი

ბზრობა იყო. ხალხი ბუზივით ირეოდა. უცებ ერთი ხუთი წლის გოგონა ასცდა თავის დედას და გზა დაკარგა. ყველას შეეცოდა მტირალი პატარა ბავშვი და გარს შემოეხვია.

— პაწაივ, გაგვაგებინე, ვინ არის დედაშენი? — ჰკითხეს მას.

— როგორ არ იცით?! — აღშფოთდა გოგონა, — დედაჩემი ის არის, თბილისში რომ ერთადერთს აცვია ფირმა „დევი შტრაუსის“ იუბილეზე გამოშვებული უნიკალური ფასონის ჩინსი!

ბ. პატინაშვილი


* * *

ჭაუ, ჭაუ, ქორო. ნუ ფრენ ამ ბაზარში დილ-დილასო. შენ გაატანს ქორ-ვაჟარი მის თუმნიან წიწილასო?!



ჩვენი კლასი

სოსო სკოლიდან აღტაცებული დაბრუნდა და დედას უამბო, — რომ იცოდე, დედიკო, რა კარგია ჩვენი საკლასო ოთახი: მერხები თავდაყირა დაგაყენეთ. ერთ მერხზე მასწავლებლის მაგიდა შევდგით, მაგიდაზე — სკამი. სკამზე დიდი აესვით და ველარ ჩამოდის. ჩვენი საკლასო ოთახის ნათურა დიდიმ მელნით შეღებია. რა კარგი ყოფილა მელანი! საკლასო ოთახის ფანჯრები სათითაოდ ჩამოვიდეთ და მზე უფრო საამურად აშუქებს ოთახს. მიყვარს ჩვენი სკოლა და ჩვენი კლასი!



რ თ ვ ე ლ ი

დაღბ შემოდგომა. კოლმეურნეები ყურძნის კრეფას შეუდგნენ. საამური სანახა იყო რთველი, ვაზებზე მოჩანდა ქარვასავით ყვითელი ყურძენი. ყურძენს „ვოლგებიო“ და „უიგულებით“ ეწოდებოდნენ თბილისიდან ჩამოსული სტუმრები. მანქანების დატვირთვაში უფროსებს თავიანთი შვილებიც ესმარებოდნენ.

ბავშვი

შემოდგომამ იღა. დედამ ქეთო დეკანოტყეში სახეირნოდ წაიყვანა. ტყეში სიჩუმე იყო. მიწა ყვითელ ბალახს დაეფარა.
— დედიკო, რა ლამაზია ტყე, ხეც რომ იყოს შიგ! — წამოიძახა აღტაცებით ვანომ.

ნათელა

ნათელა დილის ცხრა საათზე ადგა, პირი დაიბანა და ისაუშმა. მერე ჩანთა აიღო და სახლიდან გავიდა. გზაში ჩქარობდა, რომ არ დაეგვიანებინა. ნათელა მუდამ თავის დროზე მიდის... კინოში.

ბ. მახვილაძე

ციყვი

შემოდგომა გადის. ციყვი ზამთრისათვის ემზადება. ბინა მუხაში აქვს ჩასმული. შავ ხალიჩები უგია.

ციყვმა საყვები მოიმარაგა: კაკალი, თხილი. შებოლილი ზურგიელი, ხიზილალა... ახლა მას შიმშილის აღარ ეშინია. კედლის ფულუროში ფულის დასტები შეალაგა. ზამთრის სიცივე ვერაფერს დააკლებს მის ცოლ-შვილს. ციყვს სიცივისაგან ფაფუკი ქურჭი იფარავს, მას ცოლსა და შვილებს კი „დუბლიონკები“ აქვთ. ციყვი გაზაფხულზე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

მუხისბინიან ციყვს სათანადო მუხლს მიუქვენებენ.

ირემი

— ირემო, მთასა მყვირალო, რამ ჩამოგადო ბარადა?
— ერთი ვარ საქართველოში, დავეხეტები ცალადა!

* * *

ჩვენი პეპელა დაათრო და გააბრუა ჭაჭამა, ჭერ დედამთილი გატყემა, მერე ქმარ-შვილი „დაჭამა“.

ნუტას სკოლა

ნუტას მასწავლებელმა თქვა: ჩემს მოსწავლეებს უთუოდ საგანი უნდა ვასწავლოო.
— ისწავლეთ, გენაცვათ, თუ არადა, კერძოდ მოგამზადებთო!

3. ც.

კუკური და ქალაქი

მამამ კუკურის თხოვნა აუსრულა და ქალაქში წაიყვანა. როგორც კი ჩამოვიდნენ ქალაქში, ბავშვი ცქერად გადაიქცა. მას ყველაფერი მოეწონა: მაღალი სახლები, კოხტად გაფორმებული მაღაზიები, ლამაზი ქუჩები, მეტრო...
მაგრამ კუკურის ყურადღება ყველაზე მეტად იმან მიიქცია, რომ ქალაქში არ იყო ყანები, ბოსტნები და ვენახები...

როცა დაბრუნდა, სოფელ ამხანაგებს ქალაქის ამბები მოუთხრო.

გავიდა წლები. კუკური გაიზარდა და მარტო წავიდა ქალაქში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

კუკურის თანასოფელმა ამხანაგებმაც მიბადეს და არც ისინი დაბრუნებულან.

გივლა ბახტაძე

* * *

მზემ ფანჯარას სხივი სტყორცნა, დილა არის მშვენიერი. მშენებლებო, ტანთ ჩაიცვით — ჩამოენგრა სკოლას ჭერი...
* * *

ქორმა წიწილა წაიღო

ქორმა წიწილა წაიღო, იძახდა წიავ, წიავსო, წიწილის კვენესა-წუხილზე ეცინებოდა ძიასო. ნუ მიგაქვს, ქორო, წიწილა, ნუ მოგვაყენებ ზიანსო! ეს ძია, ერთის მაგივრად, აქტს დაწერს ათასიანსო!

ვალერიან მამუკაშვილი

ბაღაღა „დედა ენაზე“

ტყე შრილებს, კლდიდან კლდეზე ფეხებს იმტვრევს წყარო ანცი, ხურჯინგადაკიდებული მიუყვება ბილიკს კაცი...

გზა მოკლეზე მოუჭრია, ქალაქს იყო და შინ მიდის; ჩქარობს, უკვე აღამდება, შავ ნაბადით წვება ბინდი.

თოფიანი ახალგაზრდა გადმოუხტა უცებ მარდად, ჩიბეები მოუჩხრიკა, სულ წაართვა, რაც ებადა.

ხურჯინიც რომ ჩამოართვა, მიაშტერა თვალი უბეს: — მანდ რას მალავ?! — ეკითხება და მოქუფრულ სახით უბღვერს.

— „დედა ენა“ შევიძინე, მთელმა კუთხემ დამაბარა... — კითხვა იცი?

— ვიცი, ისე... მესმის ცოტა ანაბანა. — წამიკითხე!

წაუკითხა...

ის ისმენდა, გრძნობდა სიტბოს, „დედა ენის“ ფურცლებიდან უღიმოდა დედა თითქოს.

წიგნის გემო არ იცოდა და გაუჩნდა სულში ბზარი, მღვიმისაკენ გაიძლოლა, წარუდგინა ტყის ძმებს მგზავრი.

მასწავლებლად დაიყენეს, ეს არგუნეს ბედისწერად... და შეიტკბეს „დედა ენა“, შეისწავლეს კითხვა-წერა.

იმ წელიწადს მიწა იძრა, აბობოქრდა ხალხის ტალღა, დაამსხვრიეს მეფის ტახტი და გაშალეს ფრთები ლაღად.

ის ჭაბუკიც მქუხარებდა, ბრძოლის ქარით განაბანი, რევეკომს ცნობებს აწოდებდა ტყეში ნასწავლ ანაბანით.

„დედა ენამ“ ჩაუნერგა მშობელ ხალხის ერთგულება, ეს ამბავი არ გეგონოთ ან ზღაპარი, ან თქმულება!

მართლა მოხდა, მართლა მოხდა, განა ვინმემ ჭორად მითხრა? იმ ტყის ძმებში პაპაც იყო, მან მასწავლა მერე კითხვა.

ნოდარ შამანაძე






— ბავშვებო! ვინაიდან რემონტის დამთავრება ვერ მოკასწარით, პირველ ბავშვთულს შრომაში ჩვენი მღვაპვი ჩაბიტარებთ!

საშვილიშვილო დავალება:

ლიბერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო!

ამ სურათების მიხედვით შექმენით მაღალმხატვრული ნაწარმოებები!



სიამოვნებით მინდა გაცნობოთ, რომ ახლანახან „დედა ენის“ ასი წლისთავთან დაკავშირებით, დავამთავრე აღმზრდელით-შემეცნებითი და ჭკუის დამრიგებლობითი ხასიათის ორი საყმაწვილო მოთხრობა. ჩვენი სასიკადალო მა-

მულიშვილი — იაკობ გოგებაშვილი — რომ ცოცხალი იყოს, ორივეს დაუყოვნებლივ მიუჩენდა ადგილს „დედა ენაში“. ასე რომ, საყვა-რელო ნიანგო, შენს იმედზედა დავრჩი და რო-

გორმე უნდა მიშუამდგომლო, რათა ეს ჩემი ხელიხელსაგომანები თბოლი მარგალიტები „დედა ენის“ საიუბილეო გამოცემაში მოასვენდონ. ქვემოთ გირდგენთ ორივე მოთხრობის ტექსტს.

ქათამი თუ კვარცხნი?

კველეზურა კედლის საათმა თერთმეტჯერ ჩამორეკა. დიდედა კატო საუზმის ალაგებს შეუდგა. პატარა ვია სანახევროდ ამოხსნილ კროსვორდს მიუჯდა. უფროსი ძმა, სანდრო, თვითმფრინავის მოდელს აწებებდა ნორჩ ტექნიკოსთა გამოყენაზე წარსადგენად. დედა ახალ, სქელტანიან რომანს კითხულობდა. წინა ღამით ნაქეიფარი, თავწაკრული მამა, ტანტზე ხვრინავდა და ძილში ბორჯომს ნატრობდა.

მალაზიაში წასვლა ამჯერადაც შიო პაპას ერგო. მოხუცმა აკანკალებული ხელი ბადურას დაავლო და კარებისკენ წაფრატუნდა. ნახევარი საათიც არ გასულა, რომ იგი გვერდით სახლში მდებარე ფრინველების მალაზიაში იყო. აუტანლად ცხელიდა. ვერცხლისფერი ვენტილიატორი — „შუ-107“ — თავაზიანად აკანტურებდა თავს, თითქოს მაღლიერ მომხმარებლებს ესალმებო. დახლთან, საანგარიშოზე, ნიკაპით დაყრდნობილი შავტუხა, შავულვაშა, თეთრჩაჩიანი გამყიდველი თვლემდა და „ჟიგულის“ გამოყვანაზე ოცნებობდა.

ძია შიო მოლურჯო, კისრებადქცეული, გაპუტული ყვინჩილებით გამოტენილ ვიტრინას დააცქერდა, თავი ოდნავ უკმაყოფილოდ გადააქნია და გამყიდველს ახედა:

— კოდის ქათამს როდისთვის ელოდებით, ბიძიკო?!

— ხვალ დილას მობრძანდით, ძიაკაცო! — თვალი გაახილა გამყიდველმა და ლოყაზე მიმჯდარი „უშნოდ შემოჩენილი ბუზი ზედეკი მიცვლა.

— მაშ, ათი ცალი კვერცხი მომეცით, გეთაყვა!

— იცე იყოს, ბატონო! — დიმილით უთხრა გამყიდველმა და კვერცხები პაწია პარკში ჩაუჩხრიალა მოხუცს.

აქაზა, ბავშვებო, ნათქვამი: დღევანდელი კვერცხი მიჩვენებია ხვალდღელ ქათამსაო.

კლასგარეშე საკითხავი

სკოლიდან დაბრუნებულმა პატარა ცირამ ვეებერთელა ჩანთა გახსნა და მაშინვე გაკვეთილების მომზადებას შეუდგა. ჯერ საწერი მოითავა, მერე სახეპირო და, ბოლოს, ყველაფერი დედ-მამას ჩაურაკრავა.

„ახლა დროა, კლასგარეშე წიგნებსაც მივხელო“, — გაიფიქრა გოგონამ და კიკინებზე თეთრი ბაფთები დაიმაგრა, უფროსებისგან ნებართვა აიღო და კიბეზე დაეშვა.

სირბილით ვადაჭრა პარალელური ქუჩა და მორიდეებით შეაღო ბიბლიოთეკის მინის კარები.

სანდომიანი სახის ჭაღარაშერთულმა ქალმა კატალოგიდან თავი აიღო და ახალბედა აბონენტს დაელოდა.

— სარდიონ კუჭუხიძის „ყურცქვიტას ოინები“ მომეცით, თუ შეიძლება! — გულისფანცქალით ითხოვა ცირამ.

— ხელზეა, გენაცვალე! — არც დაფიქრებულა, ისე თქვა მორივე ბიბლიოთეკარმა.

— აბელ ბიწკინაშვილის „ძიძგი-ძიძგი, მაბალო!“ თუ გაქვთ?

— არა, გაცემულია! — იყო მოკლე პასუხი.

— მაშინ, ქეთევან ქუთათელაძის „აიწონადაიწონას“ წავიღებ.

— კი წაიღებ, გოგონი, მაგრამ სადაა? მოტანისთანავე გააქვთ!

საქმეს კარგი პირი არ უჩანდა.

— „რაღა უნდა ვითხოვო?!“ — შეწუხებულ ცირას სახე მოეღრუბლა, მაგრამ მაშინვე გაახსენდა რაღაც და წამით გუნება გამოუკეოდა.

— სერაპიონ სეფისკვერამის „სათავადა—სავლო მოთხრობა „ლორმა ჭილოფი დახია“ თუ არის ადგილზე?


— შენგან არ მიკვირს?! ნაკითხი ბავშვი ჩანხარ, მაგას ვინ გაჩერებდა, უშველებელი რიგია, თუ გინდა, ჩაგწერ, მეჩვიდმეტე იქნები!

— არა, გმადლობთ! ჯობია, ისევ გაკვეთილები გადავიძეორო! — ჩაილაპარაკა გულდაწყვეტილმა ცირამ და უკან გამობრუნდა.

ბიბლიოთეკარმა სევდიანი მხერა გააყოლა მიმავალს.

აი, ასეთ შემთხვევაზე ამბობდნენ, ჩემო ნორჩო მკითხველო, ჩვენი სახელოვანი წინაპრები: „ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო!“

არკველოდი ღინჯავა



დისციპლინა ავსებავს!

დისციპლინა ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სწავლას. ეროვნული დისციპლინა იყო, არის ერის ძალა!

დისციპლინის დარღვევებმა შობეს ჩვენი ყველა ნაკლი! დღეს მამულში დიდი ძვრების, ვანახლების ქარი დაქრის!

რუსთაველთა თაოსნობა აიტაცა საქართველომ! შეგნებულნი დისციპლინა! — ამან უნდა გვანათლოს!

დისციპლინით მიიღწევა, რაც ამქვეყნად ნანატრია! დისციპლინის განმტკიცებას აქვს ნუშური გარანტია!

ჩვენი ყველა საამაყო გამარჯვება მისით ბრწყინავს! დღეს ყველგან და ყველაფერში გვინდა მტკიცე დისციპლინა!

დისციპლინა — გზა გმირობის, სიხარულის მზეთა ფენა, ჩვენი ბრძოლის, ჩვენი შრომის ანბანი და დედაენა.

დღევანდელი, ხვალინდელი წარმატების საწინდარი!.. დისციპლინას — გული, სული, ასი ყური, ასი თვალი!

დისციპლინა აგვამაღლებს, აგვაუმნებს, დაგვაშფევენებს! მაშ, მივბაძოთ რუსთაველებს! მაშ, მივბაძოთ აბაშელებს!

და ჩვენს გვერდით ვერვინ ნახავს მას, ვინც გვერცხვენს, გვიტეხს სახელს — ვერც ერთ, ვერც ერთ ჩამორჩენილს, დისციპლინის ვერც ერთ დამრღვევს!

ენათმეცნიერების უსაკალი

დედაენა ერთია. სამაგიეროდ ბევრია ენა, რომლის მიტან-მოტანაც შეიძლება. ასეთი ენებია: დეიდაენა, ბიცოლაენა, მამიდაენა, ნათლიაენა, დედამთილენა, სიდედრენა, ცოლისდაენა (მეორე ცოლისდაენა, მესამე ცოლისდაენა და ა. შ.), ცოლისძმენა (მეორე ცოლისძმენა, მესამე ცოლისძმენა და ა. შ. Ne-ჯერ), მძახალენა, ჭვისლენა, დედინაცვალენა, ხანდახან კი — მამაენა, სიმამრენა და სხვ.

ამ ერთი თვის წინ ბიცოლაენამ, მესამე მსოფლიო ომი იწყებოდა და, 40 კვერი სარეცხი საპირი მაყიდვინა.

ამას წინათ დეიდაენამ სულ იოლად მოხსნა ოთხი მინისტრი და ერთი — კიდეც უფრო მაღალი თანამდებობის პირი.

ნათლიაენამ მთელი ეზო დაგვარწმუნა, დინამოელებმა თასი წააგესო.

ცოლისდაენას შეუძლია, თვალის დახამხამებაში წმიდა ჩასახვის წესით დააორსულოს რომელიც გნებავთ გაუთხოვარი მეზობელი.

ბიძიაენა მიმტკიცებს, ხაშურსა და ქარელში მოსახლეობა მხოლოდ ესპანურად ლაპარაკობსო.

განსაკუთრებით მაღალია დედამთილენის წვლილი ლექსიკის (ძირითადად პარბაროზმებისა და ნეოლოგიზმების) განვითარების საქმეში.

სიდედრენის მაგალითზე იოლი დასადგენია როლი, რასაც სიტყვა ასრულებს ინფარქტებისა და ინსულტების ხელოვნურ ორგანიზებაში.

„დედა ენაზე“ ტელეგადაცემას რომ უყურებდა, მამიდაენამ ნაზად დახარა თავი და თავია იუბილეზე ჩამოაგდო სიტყვა. როგორც თვითონ ამტკიცებდა პატივცემული, უხსოვარი ხნისა ყოფილა.

არც სხვები არიან ორი დღის ბავშვები.

ასე რომ, „დედა ენის“ იუბილის დღეებში ნურც მათი არსებობა და დამსახურება დაგვაფიქვდება!

ბოლოვანპარა

იპო ერთი ზარმაცი გიგო. წიგნის უკუღმა დაჭერა უყვარდა. ერთ მშვენიერ დღეს, სოფლის მოედანზე, გიგო წიგნს უკუღმა რომ კითხულობდა, კერძო მეურნეობის არანომენკლატურულმა თხამ მიუსწრო, გაქანდა გიგოსკენ და დაეტაკა... გიგომ იმარჯვა, თხა გაკოჭა და ხორცკომბინატს ჩააბარა.

კოლმეურნეობის გამგეობამ გიგოს საქციელი მოუწონა, ლიმიტი მისცა ხორცის ტექნოლოგიის ინსტიტუტში.

მორალი: ვინ შეეკამა თხა?

ა. ა.

თი ვ ზ ი

კაცმა თევზს უხმო ნაბირზე: „მო, დავტკბეთ საუბარითა, ვიცი, სათქმელი ბევრი გაქვს, პირი სავესე გაქვს წყალითა!.. თევზმა მიუგო მეთევზეს: „ვერ მომატყუებ მაგითა, წყალი სადღაა, მდინარე ავსებულა ნავგითა!“

მორი

აფრინდა ქორი, აფრინდა, არაგვი ჩაინადირა, მცხეთას ვერ ნახა ხოხობი. ვერც კაკაბს ბუნტული აღინა, არც სადმე შეხვდა ქედანი, ტყუილად მოცდა კვეხითა, ფულიც არ ჰქონდა საბრალოს — „მონადირისგან“ ეყიდა!

3. გოგოლაჟვილი

სამი მგელი

სერზე მიდის სამი მგელი — დამშეული, ენაგრძელი, ერთმანეთს ეუბნებიან: „მგლის სახელი შეგვრჩა ძველი!

ცხვარს ჩვენ ვინა დაგვანებებს?! ფერმის გამგემ მიპყო ხელი! ჩვენს სოროსთან ძვლებს გადმოჰყრის, თვითონ მგელი, საძაგელი.

სწრაფად დაჰქრის „გოლა“ მისი, რაღად უნდა ლურჯა ცხენი?! თუკი ცხვარს ვერ მოვიტაცებთ, რაღა არის მგლობა ჩვენი?!

სახელიც მას დაფულოცით, მას ესროლონ ტყვია ცხელი!“

ზოგი მეცხვარე

ზოგი მეცხვარე, დოქით მხარზედა, ღვინისთვის მიდის სოფლის გზაზედა... ცხვარს ყელს გამოსჭრის სტუმრის ხმაზედა, ცხვრის ძვლის სავარცხელს ისვამს თმაზედა... მერე დაჯდება ღვინის სმაზედა, სალამურს უკრავს მთვრალის ხმაზედა.

შალვა პოლიკაური

ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია, თავმჯდომარეს კლუბის ქვითა სახლი აუშენებია, სახელმწიფო ნერგებითა ბალი გაუშენებია, მშრომელების ნაოფლარით ჯიბე გაუსქელებია!

ბ. ი.

ენის გასაბნეო

- რეპეტიტორების პრაქტიკას არქტიკაშიც პროტექტორებენ.
- მოწყალე მასწავლებელმა მოსწავლეს უწვავლელად წყვილ-წყვილად წარჩინების ნიშნები დაუწერა.
- ენაბნეო სუსტი ატესტატით ინსტიტუტში გასტუდენტებულა.
- დეიდა დალიმ „დედა ენა“ დახლში დამალა.

ა. ა.

„დედა ენის“ მიხედვით

306 არ იცის, რომ ცხოვრება წინ მიდის. იცვლება ბევრი რამე ეს ცვლილებები, ცხადია, „დედა ენაშიც“ უნდა აისახოს. ახლად ბევრმა უქანასკნელი წლების მანძილზე ბევრი ახალი ნაწარმოები დაემატა იაკობ გოგებაშვილის ხელიდან გამოსულ შედეგს — „დედა ენა“. ნიანგელებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა შემდგენლების მოთხოვნებმა. მათი შემოქმედებით წახალისებულებმა, ერთგვარად გათამამებულებმა და, საბოლოოდ, გათავხედებულებმა გადაწყვიტეს, თვითონაც შეიტანონ წვლილი ამ საშვილიშვილო საქმეში — „დედა ენის“ სრულყოფისა და გადახალისების საქმეში. გათავაზობთ რამდენიმე მასალას:

ფ უ ლ ი
ფუ-ლი
ფ-უ-ლ-ი
ფუჰ!

წ ი წ ი ლ ა
წ ი-წ ი-ლ ა
წ ი-წ ი-ლ-ა
წ

ფულბრაიტი სენატორია. ფულტონი მეცნიერი იყო. ფულადელფია ამერიკაშია. ფული ოჯახის საფულძველია. ფული ფულფუნების წყაროცაა. მიაფულთხეთ ფულს — უფალი უფულოდ მუშაობს! ფული ხელიდან ხელში გადადის. დანიშნული ფული ხელზეც გადადის. ფულიკულორი ფულით აშენდა. საფულე მეგრულად საფლაგია — ფულს ზოგჯერ საფლაგშიაც ინახავდნენ. სათქმელი გამითავდა — ფაფულ!

ვა ლ ი
ვა-ლი
ვა-ლ-ი-
ვაჰ!

ვალიას ვალი აქვს. ვალიამ ვალიდოლი დალია. ვალიამ ვალის გამო ვილა ვერ აიშენა. ვალია სავალალო მდგომარეობაშია. ველი ვალიას ვალის გასტუმრებას. ვალიას ვალია, შემოსავალი და გასავალი ისე დათვალოს, ვალი აღარ დაედოს. ვალია კარგი ქალია.

თ ო ხ ი
თ ო-ხ ი
თ-ო-ხ-ი
თ


თელაველი თედო თელავში თავგამოდებით თოხნიდა. თედო თბილისში გადმოსაჩლდა. თოხნას დაეთხოვა. ახლა თედო თბილისელია. თბილისი მილიონიანი ქალაქი გახდა.

უ თ ო
უ-თო
უ-თ-ო
უჰ!

აი უთო. ეს უთო თეოსია. უთოი მაღაზიაში არ იშოვება. უუთობას ვითმენთ, თუმცა უუთობა მოუთმენელია.


ჭ ი ქ ა
ჭ ი-ქ ა
ჭ ი-ქ ა-
ჭ

ეს ჩაის ჭიქაა. ჩაის ჭიქაში ჭაჭა ასხია. ჭიჭიკო ჭაჭას სვამს. ჭიჭიკოს ჭაჭები სტკივა.




თ ი თ ი
თი-თი
თ-ი-თ-ი
თ

აი თითი. ეს გამყიდველი თედოს თითია. თედო თბილ ადგილზეა. თედოს მითითებასაც არ აძლევენ.



ს ა ხ ლ ი
სახ-ლი
ს-ა-ხ-ლ-ი
სუ!

ეს სოსოს სახლია. სოსო მესოსისეა. სოსოს კარგი სახლი აქვს. სოსოს ცუდი სახელი აქვს. სოსოს სულელები ვგონივართ.



ლორი
ლო-რი
ლო-რი-რი
ლ

ეს ღორი ფერმისაა. ეს ღორი
ფერმის გამგისაა. ფერმა ფორმა-
ლურადაა.

მუხა
მუ-ხა
მ-უ-ხ-ა
უხ!

აი ათი მუხა. მიხა ძიამ ათი
მუხა მოხერხა. ეს მიხა ძიას ოთა-
ხია. მიხას ოთახი მუხისაა. მიხას
მუხამბაზი და მხიარულობა უყ-
ვარს. აქ ათი მუხა იყო. მიხა მხი-
ლებულია.

ხიდი
ხი-დი
ხი-დი-დი
ხ

დიდის ხიდი დიდია. დიდმა
დატვირთვამ ხიდი დაანგრია. დან-
გრეულ ხიდზე დიდმელები და-
ლონებულები დადიან. ხიდოსტა-
ტები ღუმან.



ტელეფონი
ტე-ლე-ფო-ნი
ტ-ე-ლ-ე-ფ-ო-ნი

ტ...ტ...ტ...ტ...ტ...ტ
ტ...ტ...ტ...ტ...ტ...ტ

წერილი მამას

(ძველმოდური სიმღერა)

ჩამოდი, მამი, ჩამოდი,
ჩამომიტანე ფულები,
უნდა ვიყილო ნიშნები —
მოლაში შემოსულები!

ხომ იცი, ჩემო მამიკო,
სწავლა რა არის, რა იყო?
ჩემს ცოდნას არ სჯერდებიან,
თუნდაც შუაზე გავიყო!

დღეს პროტექტორმა ნიშნებით
სპეკულაცია დაიწყო
და მეუბნება: „რაც იყო,
ის დრო წავიდა, ძამიკო!“

ვინც მიუტანა ფულები,
ანდა, ვინც საქმე ჩაიწყო,
იმ პროტექტორმა მათთანაც
ნიშნით ვაჭრობა დაიწყო.

მე კი რაღა ვქნა, არ ვიცი,
გულმა ტკივილით ამიკლო...
უთუოდ დავიღუპები,
თუ არ ჩამოხვალ, მამიკო!

წერილი ბებიას

ბები, ჩემო ტკბილო ბები,
აგრემც გენაცვლები,
გავიზარდე, რაღად მიხდა
შენი ჩურჩხელები?

უამრავი გეყოლება
ჩემზე არიფები,
ჰოდა, იმათ დაურიგე
ახილი და კაკლები!

დახმარება ახლა მიხდა,
როცა გზაზე ვდგები,
შეინახე შალის წინდა,
ჩაიცვამენ სხვები!

ჩემთვის ცალკე გამოგზავნე
ბრილიანტის თვლები,
თუ არ გინდა შეგიკუროთხო
ეგ ჰალარა თმები!

ბეჭედი არ დაგაეიწდეს
და საყურეები.
ოქროს ძეწკვი და ამგარი
რამერუმეები!


ბები, მართლა: შესაწევარს
როგორ ველოდები!
ქელეხისთვის მზად არიან
ჩვენი მეზობლები!

მეფურ ქელეს გაგიმართავ,
საყვარელო ბები,
შენ კი უკვდავების წყალს სვამ.
მგონი, აღარც კვდება!

ნანა ჩახმახაშვილი

ნ. იოსავიძე

ნახ. გ. ლომიძისა



— ჩვენმა საპროექტო რეპუბლიკურ-პროტექტორებისათვის
კოლექტიური ბინა თუ არ ააშენა, ჩვენი გავრეგები დაისოცე-
ბიან ვაკიდან საბურთალოსი, საბურთალოდან დიდოში,
დიდოშიდან ოქრუჩანაში სიარულით!

- გუშინ, როგორც იქნა. ბავშვს დაველაპარაკე, სკოლის ამბები გამოვიკითხე. მშობელთა კრებაზეც წავედი.
- რა მოხდა?! როგორ მოგივიდა?!
- ტელევიზორი იყო გაფუჭებული და, აბა, რა უნდა მეკეთებინა?!

ანდრო კოკოლია

მშობელთა კრებაზე

მასწავლებელი: მშობლების წინაშე გეუბნებით, რომ თქვენი შვილი უღისციპლინოა!
მშობელი: შეუძლებელია! ჩემს ლაშას ყოფაქცევაში ხუთიანი უწერია!

თ. შ.

- ბებო, ფოსტალიონად იწყებ მუშაობას?
- არა, შვილო!
- აბა, რატომ უთხრა დედიკომ მამას, ცოტა დამაცადე და დედაშენს წერილს წავაღებინებო?!

ბ. ი.

ბასუხაზიანი სახაშროები

— რისთვის ხმარობენ ჭიქას? ბოთლს? თევზს? მათლას? ლამბაქს? ქვებს? კოკას? ჩაიდანს? დოქს? ქაღს? ლამბას?
 — ლეინის დასალევად.

- რა არის კაბა? ჩექმა?
- დედაჩემისა და მამაჩემის გაუთავებელი ჩხუბის მიზეზი.

რამაზ მსაფაიფვილი

ხ უ რ მ

კაკ-კუკ!
 კაკ-კუკ!
 მე ვარ ხურო,
 სახლს ვაშენებ.
 კი არ ვხუმრობ!

ახალ სახლში
 ჩნდება ტბები!..

ტაშ-ტაშ!
 ტაშ-ტაშ!
 ბინად ხალხის
 ავაშენე
 ხელად სახლი!

ბრაბ-ბრაბ!
 ბრაბ-ბრაბ!
 რომ ვეხები,
 შუბლში მხვდება
 პარკეტები!..

ტრაბ-ტრაბ!
 ტრაბ-ტრაბ!
 ეს რა ხდება?
 ახალ სახლის
 ქერი სკდება!..

ქშუ, ქშუ!
 ქშუ, ქშუ!
 ქშენით ვკვდები,
 არ იღება
 კარ-ფანჯრები!..

წკაპ-წკაპ!
 წკაპ-წკაპ!
 სმენით ვტკბები.

ვიშ, ვიშ!
 ვიშ, ვიშ!
 რა სახლია,
 თავადური
 სასახლეა!

ბ. შ.

დღე და ღამე სად დადის? რა „საქმეებს“ უნდება? როდის გადის სახლიდან? სახლში როდის ბრუნდება? —

არ კითხულობს არც დედა და არც მამა კითხულობს, არც ერთს არ სურს, ამ კითხვით თავი „გაიბითუროს“!

სადაც სურს და როგორც სურს, იქით „გაინადირებს“. სკოლიდან რომ გარიცხეს, ახლა რაღას აპირებს?

რაც იზრდება, ვირდება! არა ფიქრობს წამითაც? ან ამ ზაფხულს ფარულად ზღვაზე რატომ წავიდა?

მეეზოვეს გუშინწინ სახლში რაზე აკინა? ან შვილს რაზე აძლევენ „მაყუთს“, რჩევის მაგივრად?

საეჭვო პირთ რომ იცნობს, ეს საეჭვო არ არის? რატომ იკლებს ეზოებს თავის „პარიარალით“?

კონიაკებს ხანდახან რა სახსრებით ყიფულობს? — არ კითხულობს არც დედა და არც მამა კითხულობს!

რად არის, რომ ტროტუარს წარამარა აფურთხებს? ყოველ ხის ქვეშ რატომ დგას? ხეთა მკველად „აკურთხეს“?

დარგულ ნერგებს რად ამტვრევს? რატომ თელავს გაზონებს? რატომ არის, რომ ჭადრებს თავის ბეჭებს აზომებს?

მეტროსადგურს მთელი დღე რატომ აეტუხება? ამსვლელი თუ ჩამსვლელი რატომ უჩანს ბუზებად?

ტაქსის რიგში როცა დგას, ასე რატომ დიდგულობს? — არ კითხულობს არც დედა და არც მამა კითხულობს!

რატომ უქნევს თითს ბავშვებს ბაჭიბუქით, მუქართ? რატომ უყეფს ძაღლებს და კატებს რატომ უკნავის?

რატომ ავლეჩს ყურმილებს ავტომატის ჩიხურებს? რატომ ართმევს პატარებს ბურთებსა და ციგურებს?

რატომ არის რეგენი, უკმეხი და უთლელი? სალანძღავი სიტყვები რად არ დარჩა უთქმელი?

უცნობ გამხდარ ხანდაზმულს რად ეძახის „ფიტულო“? — არ კითხულობს არც დედა და არც მამა კითხულობს!

მე ვკითხულობ, იმ მშობლებს დე, ნუ გაუყვირდებათ: მოზარდს გაზრდა რომ უნდა, აღზრდა აღარ სჭირდება?

ბიორგი უმთავაური



- რა გაქვთ ახალი?
- „დედა ენის“ საიუბილეო გამოცემა!
- იმპორტული არა გაქვთ?



ღირეპტორი: რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, ბივლას მამა, საოლაში ნუ ღიბარებთ-მეთქი?!

— „იცით, მოძმენო, რას გეტყვით, — მეტი რომ არ ვთქვა თავზედა, — ჩემი ბადალი, მითხარი ვინ არის ქვეყანაზედა?!

დავიარები ამაყად ფულიან-მანქანიანი, შიშის ზარსა ვცემ ქვეყანას ვაუკაცი, დეზებიანი!

მე, გამოცდილი თამადა, მე, ძმა-ბიჭების იმედი, მე, ყოვლისმცოდნე, ბრძენკაცი, რის კანტი?! რის არქიმედი?!

მე, შეუძლებლის შემძლები, მე, აუხდენლის ამხდენი, ჩემი მომრევი სად თქმულა, სად თქმულა ჩემი წამხდენი?!

ლამაზიცა ვარ, მხარბევი მიმიგავს მუხის მერქანსა, ოღონდ არ მესმის, ახეთ კაცს ნუკრი რად უნდა მერქანსა?!

ამ ქვეყნად რა არ მინახავს, რა ფათერაკი, სიფათი!.. ზოგს არ მოსწონდა ეს ჩემი სიფათი და მარიფათი,

მაგრამ ვერავინ ვერ შეხდლო, ჩემთვის აფრენა ბუზისა! ისევ თქვენთან ვარ, მოძმენო, ისევ თქვენს სუფრას ვუზივარ!..“

სიმღერის დასაძახებლად გულიც კი აუყუწვულდა, მაგრამ უეცრად გამხდარი სერუანტი შემოცუნვულდა.

მილიციელის დანახვამ ჯერ ვერ უცვალა ნირია, მოხარულ დედულს დააცხრა ათმანეთიანს, ნივრანს...

მერე კი შეერთა ვაუკაცი, როგორც პატარა შოშია, დაპატიმრების სანქციამ გადააქცია გოშიად!

წამოდგა ფერდარკული, წავიდა წელმოწყვეტილი!.. მის ტრაბახსა და პარპაშსაც ბოლოს დაესვა წერტილი.

ალექსანდრე ტაბატაძე

თავნება კაცი

ერთ სასახლეში ერთი კაცი ფუფუნებდა. თანამდებობიდან იყო მოხსნილი და რიგით სამუშაოს არ კადრულობდა. ცხოვრებით კი მაინც კარგად ცხოვრობდა, რადგან იმდენი ჰქონდა ნაქურდალ-ნაქრთამალი, რომ მის შვილთაშვილიშვილებსაც ეყოფოდა. ეს კაცი მაინც არ ისვენებდა, იჭდა და დღედაღამ საჩივრებს წერდა, უთუოდ უნდა მოვახსნევირო ისინი, ვინც მე მომხსნესო.

მეზობლებმა და ახლობლებმა ბევრჯერ უთხრეს, საჩივრების წერასა და სხვების მოთხრას თავი დაანებე, თორემ სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე მუხლს გამოთხრიო.

თავნებამ არ დაუჯერა, წერა, წერა, წერა საჩივრები და ცილისმწამებლობისათვის წლინახევრით თავისუფლების აღკვეთა გამოთხარა!.. იჭდა თავნება კაცი და ამბობდა, ავღგებო, გამოვალ, დავკადები და, ვინც მე უსამართლოდ ჩამსვა, ახლა იმაზე დაეწერო!

ა. ბ.



— ამ სექტემბერში გალდს ცურვას რომ ასწავლი, არ გაგიცვივდეს!
— მაშ, რა ვქნა?! თუ ცურვა არ მასწავლი, ისე ვერ ისწავლის, სკოლა გაღმია!



ბ. ზ.

— მაშინ, ის ძია ცურვის კარგი მასწავლებელია, აუხრის აი ჩამოღის ხოლმე!

ჯანვარკვილის გზითნაღმა ენის საღმრთო

ნაირტაყით მარცხენა ამოტაცვი გაქნევით უკუქნევზე ასვლა. მარჯვნივ გაგვერდ-გადაქნით ბრუნი უკნით ბჯენში, უკუტრიალი, უკუდასვლა და ამართასვლა, შემოსწრაფვა, ორი უკუაღმატრიალი, მარჯვენის ჯვარედინი გადატაცვი. წინქნევზე ასვლა ბრუნით ბჯენში, ქვევლით გაქნევი ბრუნით მარცხნივ, წინქნევზე მარჯვენის ამოტაცვი და ამართასვლა ხელყირამდე; ერთი წინაღმატრიალი, ხელყირაში ბრუნი მარცხნივ და ერთი უკუაღმატრიალი, მარჯვენის ჯვარედინად გადატაცვი, წინქნევზე ასვლა ბრუნით მარჯვნივ და ფეხშლა!

ყური მოჭრა კითხნილ ტიპაძემ



ნ.ბ. ზ. აბაშიძის

ფეხაბრეთის გულშემატკივარი: კატეცემულ დირექტორო! ქალიან ბიხვოთ, ჩემი შვილი „გ“ კლასიდან „ა“ კლასში გადაიყვანო!

სინაეფვილის ფენტესტიქა

ერთი წლისა იყო დათო მუნჯაძე, როდესაც პირველი წინადადება — „დედა, ნწა მიდა!“ — წარმოთქვა. ამ წუთს გულის ფანცქალით ელოდნენ მუნჯაძეების ოჯახში. — ნო, დედა, ნო ნწა! მაზე აი ვნთ ვოთა! აი, ასე უნდა თქვა! — აუხსნა ბავშვს დედა-მისმა, ინგლისური ენის ლექტიორმა, ქალბატონმა ვიოლეტამ და ბიჭის ბებიას, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის სპეციალისტს, ქალბატონ ელენეს ნიშნის მოგებით გადახედა. ასე ეზიარა დათო იმ საინტერესო და რთულ მეცნიერებას, რომელსაც ლინგვისტიკა ეწოდება.

ალბათ, დაინტერესდებით, თუ სად იყო ამ დროს, ან რა როლს ასრულებდა დათოს გაპოლიგლოტების საქმეში მისი მამა, მოგზაური და ეთნოგრაფი, პატივცემული მახარე მუნჯაძე. ეგი გრძელვადიან მივლინებაში იმყოფებოდა სულ ახლახან აღმოჩენილ კუნძულზე. იქ მცხოვრებ აბორიგენთა სრულიად უცნობი ენისა და ჩვევების შესასწავლად გადიოდა დრო. სამიოდ წელიწადში ბიჭი ინგლისურს, გერმანულს, ფრანგულს, ესპანურსა და იტალიურ ენებს დაეუფლა, მაგრამ. მიუხედავად დიდი წარმატებისა, ბებია მაინც უკმაყოფილო იყო და პატარა პოლიგლოტს დამატებით სხვა ენებიც შეასწავლა.

მაღე დათოს დიდი ბედნიერება ეწია: წყნარი ოკეანის აუზის იმ გახალამოჩენილ კუნძულზე ხანგრძლივ მივლინებაში მყოფი მამა დაუბრუნდა.

ბიჭი მამას რვა ინდოევროპულ ენაზე მიესალმა და ლათინურად გამოკითხა უცხო ტომის ამბავი. მამამ მთელ ოჯახს საზეიმოდ განუცხადა, რომ მის პატივსაცემად უცნობ კუნძულს „მუნჯაძე-ლენდი“ დაერქვა, ხოლო იქაურმა აბორიგენებმა ქართული ენის შესწავლა დაიწყეს.

ბიჭი დიდხანს მისჩერებოდა მამას დიდრონი, ჭკვიანი და ცნობისმოყვარე თვალებით. ასეთი გამოხედვა მხოლოდ კანტს, ჰეგელს, ციკერონს, ლომონოსოვს და აინშტაინს თუ ჰქონდათ ბავშვობაში. როდესაც მამა-შვილის თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, დათომ სპარსულად ჰკითხა:

— მაშინ, რით ხასიათდება ქართული ენა?
პატივცემულმა მახარე მუნჯაძემ მხოლოდ ამის თქმალა მოახერხა:
— ვალიდოლ!
ამ დღეს მუნჯაძეების საღარბოზოსთან დიდხანს იღვა სასწრაფო დახმარების მანქანა.

- მოსწავლეს გამოცდაზე ენა ჩაუვარდა და უენოდ გამოვიდა გარეთ.
- სკოლის დირექტორთან ზოგს ენა მიჰქონდა. ზოგს — ძღვენი.
- მასწავლებელმა უთხრა მოსწავლეს: ჯერ ენა ჩამაბარე და ლიტერატურაზე მერე ვილაპარაკოთ.
- ენადგაპარფილმა მოსწავლემ არდადეგებზე ყველაზე ცოტა ჩაი მოკრიფა.
- შვილს დედის ენა არ ესმოდა და მამას ეხვეწებოდა, დედაემა მასწავლეო.
- მწერალმა ენით აუწერელი ამბავი კალმით აღწერა.
- უნო კაცი სხვებზე უფრო მეტს ლაპარაკობდა, ვიდრე თავის თავზე.
- დირექტორმა თანამშრომელი კრებაზე ენით მოკლა და სუფრასთან დიდხანს სიცოცხლე უსურვა.
- უფროსთან ენაჩავარდნილი ცოლთანაც ვერ აღებდა ხმას.
- ვინც თავის დედაენაზე არ ლაპარაკობს, ის სხვის დედაენაზე ლაპარაკობს.


3. გურული

ნ.ბ. მ. აბაშიძისა



— სათამაშო მოედანს კი ვინმემ, მაგრამ წიფხატი და წიფხა ტაყვისასყრელად გეძნებათ!

ნ.ბ. მ. გორჩაძისა



ენა, პროგრესი და თარგმანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმანს ფრიად ფართო-მცნებაა და ამიტომაც, რომ მის საკითხებს დიდი სერიოზულობითა და სიფაქიზით ეცილება მხოლოდ სპეციალისტთა ასე თუ ისე ვიწრო წრე კი არა, არამედ ყველა მკითხველი.

როგორ არის დღეს თარგმნის საკითხი? შეხანისწინადად. თარგმნის ყველა, ვისაც მოეხსიათება, როგორც მოხვდება... თარგმნის თანამედროვე „გასაგებ ენაზე“ (რადგან ზოგიერთი „მოძველებული“ ტექსტები გაუგებარია მკითხველისათვის). ამ ახალი მიმდინარეობის საილუსტრაციოდ გთავაზობთ ახალ „თარგმანს“ — „ღვიძლ შვილს“...

დედანი:

სულხან-საბა ორბელიანი.

ორი მოლა

ორი მოლა იყო ერთსა ქალაქსა შიგან. ესრეთ მტერი იყვნენ, ერთად ვერ მოთავსდნენ, არცარა ერთად სვიან და სჰამიან. ამას ცდილობდნენ ერთი მეორესა წაეხდინა. დღესა ერთსა ერთი მოლა ნახეს სხვისა დიაცი-სა თანამწოლი. კაცთა მათ იგი მოლა და დიაცი ორნივე შეიპყრეს და ერთს ორმოსა შიგან ჩაყარეს. ენებთ მეორეს: დღეს მოასხან ყადთან მო-წაშენი და ორნივე დახოცონ. სცნა მეორემან მოლამ, მტერმან მის მო-ლისამან. ირბინა, მას მოლის სახლში მივიდა, მისი ცოლი მოიყვანა. მას მოლას ღამე ჩაუსვა ორმოსა შიგან და ეგრე უთხრა: მაგ დიაციის სამო-სელი მაგას შემოსეთ და მაგისი მაგასო, და ეგ ამოუშვიო! ეგრე ჰყო ყოველივე, რომელი მტერმან უთხრა. განთიად მოვიდა ყადი და მოწამე-ნი. და იგი მტერი მოლაცა მივიდეს. ამოიყვანეს იგი მოლაცა და დიაციცა ნახეს. მან მტერმან მოლამ თქვა: მე ხომ ყოველნი მიცნობთ. მაგისი მტე-რი ვარ, მაგრამ რას ემართლებით უბრალოს თავისი ცოლი ყოფილოს... გაუშვეს. მერმე მან მოლამ ასე უთხრა: შენც იცი როგორი მტერი ვარ შენი, მაგრამ ეს ამისთვის გიყავ, მეც ავის მქმნელი არ ვეგონო ვისმე, რთ-მე ჩემის სახის მსგავსება გაქვს, მისთვის მოგარჩინე. შენც მოლა ხარ და მეცაო!

„თარგმანი“: (შენიშვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ახალი თარგ-მანი ძალიან უხალისეობდა ზოგიერთი გაზეთის ენასა და სტილს...)

ორი მოლა

ერთ ქალაქში, რომლის მოსახლეობა უკანასკნელი სტატისტიკური მო-ნაცემების მიხედვით მილიონს არ შეადგენდა და განვითარებით საქმა-ოზე დაბალ დონეზე იდგა, ცხოვრობდა ორი მოლა. ეს ორი აღამიანი ისე იყო ურთიერთდაპირისპირებული ყოფიერების ყოველ სფეროში. მათი მტრობა ისე იფუჭებოდა, რომ ერთმანეთის შეურაცხყოფა ჩვეუ-ლებრივ პრაქტიკად ქცეოდათ. ისინი ერთად, ეშვებოდნენ, ვერ მოთავსდუ-ლებდნენ და ეს იყო მიზეზი, რომ სხვადასხვა კომპარტივიში აიშენს ბი-ნა. რადგან ძალის პოზიციებიდან მოქმედებას მათი პრესტიჟი უფლებას არ აძლევდა, ამიტომ ათასგვარი კომბინაციით და სხვადასხვა გზით ცდი-ლობდნენ განეხორციელებინათ მთელი რიგი მტრული ღონისძიებანი.

ერთ დღეს, როდესაც ალაგ-ალაგ წვიმა და სუსტი, ზომიერამდე ძლიერი ქარიც უბერავდა, ერთ-ერთი მოლა ნახეს მსუბუქი ყოფაქცევის ქალთან. ფაქტი იმაში გამოიხატა, რომ აღნიშნული მოლა იყო ამ ქალ-თან პორიზონტალურ მდგომარეობაში. თავისი თვალთ მანახვლებმა ადგილზევე შეიპყრეს ამორალიზმის ოფიციალურად დადგენილ ნორმებ-ზე დაბლა მდგომარე აქტის ჩამდენი, განახორციელეს თავისი მოქალაქე-ობრივი ვალი და მოლაცა და ნაშუსის არ მქონე სუსტი სქესის წარმომად-გენელი დააპატიმრეს, რაც გამოიხატა მათი დასამუშავებლად ყველაზე მოუხერხებელ მიწაში ამთხრილ ორმოში მოთავსებით. ერთი არასა-დღელაპისო გაჩერების შემდეგ უნდოდათ მათი ყადთან წაყვანა და დამ-ახურებელი სასჯელის მიხედვა — ნაწილობრივ ან მთლიანად განადგუ-რეს. მდეც კი.

ეს გაიგო იმ მოლამ, რომელიც გადამწყვეტ მტრულ ბრძოლებს აწე-რობდა ხოლმე ამ მოლას წინააღმდეგ და დაბეჯითებით გასწია იქით გადაადგილდა საზოგადოებრივი ნორმების დამრღვევი მოლას სახლში, აცნობა მის მეორე ნახევარს ეს უპრეცედენტო შემთხვევა და სანახევროდ გაცოცხებული დიაცი დათანხმა, უდიდესი სირცხვილის თავიდან აცილე-ბის მიზნით, დათმობაზე წასულიყო. ეს გამოიხატა იმ ზუსტად გაანგარი-შებული ღონისძიებით, რომ ღამით მტრად მოსდებულმა მოლამ აღნი-შნული ქალი ორმოში ჩაუშვა და თქვა: უთხარი მოლას, განახორციელოს იმ ამორალური ქალის ტანისამოსის გაცეცის პროცედურა შენს ტანსაც-მელზე, შემდგომში კი ზემოთ ამოუშვასო.

ყველაფერი წინასწარ განზრახული გეგმით მოხდა, რაც მტერმა მო-ლამ წარმატებით დაიკვირგვინა.

დილაადრიან მოვიდა ყადი და ის მოქალაქენი, რომლებიც მოწმედ იყვნენ დასახელებულნი. მაშინ მეორე მოლამ კატეგორიულად განაცხადა: ყველამ ვიცით, რომ მე არასოდეს ვმდგარვარ ამ კაცის ინტერესების სადა-რაჯოზე, უშუალოდ ვეშუქები მის კეთილდღობას და არც მჭირდება შემდგომი წაქეზება. მაგრამ ახლა ეს გამოვლინება სამართლიანად არ მი-მაჩნია, რადგან მას თავის საკუთარ მეუღლესთან ჩაუტარებია ეს სამარცხ-კინო აქტი.

ამ მტკიცე რწმენით წარმოთქმულმა სიტყვებმა ყადი დაარწმუნა, რომ არ იტყებოდა გამართლებული მათი ლიკვიდაცია და შეიქმნა იძულე-ბული თავისუფლება მიენიჭებია ცოლ-ქმრისათვის.

როდესაც მოლას შესაძლებლობა მიეცა ფარულად გამოეთქვა თი-ვისი აზრი მეორე მოლას მიმართ, მან უთხრა: შენ იცი, რომ შენი დაუძი-ნებელი მტერი ვარ, მაგრამ შენი გადარჩენის აქცია იმითმ განახორცი-ელე, რომ ჩვენ ორივე ერთ პროდესისა ვეკუთვნი. ამ მოციანის შესრუ-ლება იყო უპირველესი მიზანი იმითმ, რომ ამით შეიძლება შეღახულ მდგომარეობაში აღმოჩენილიყო ზემო პრესტიჟიცი.

გასაგებად და გარკვევით თარგმანს, დიახაც, რომ კარგი საქმეა, მა-გრამ რას ვერჩით დედაენას?

7-1976,

76-722

ქართული
ბიბლიოთეკა

დიდო საგმობო კავშირო,
მსოფლიოს მსხნელი შენა ხარ!
შენ ლამარცხე ფაშიზმი,
გმირთა უკვლავი კერა ხარ!

შენ დედენა დიადი
შეუნარჩუნე ყველა ხალხს!
მშვიდობას დედამიწაზე
აწი ვერავინ შელახავს!

Иллюстр. 76137

